თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 9 დეკემბერი სხდომის ოქმი #14

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტები – 7, სულ – 32 წევრი.

დღის წესრიგი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2014-15 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტისა და შესაბამისი ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. ანკეტა კითხვარი ბმულ ფაილში)

(მომხსენებელი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2014-15 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტისა და შესაბამისი ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

(დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია თსუ-ში საერთო კონტიგენტის შესახებ და აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტი განსაზღვრული იყო 1110, მ.შ. ეკონომიკა - 400; ბიზნესის ადმინისტრირება - 450; ტურიზმი - 260 (60 ქუთაისი). ახალი პროექტის მიხედვით კი განისაზღვრა 940, კლებაა სულ 170, აქედან 160 ტურიზმის და 10 ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე. წინა წლებში არასწორად დაგეგმვამ და ადგილების დათვლის მეთოდიკის არასრულყოფილებამ გამოიწვია სტუდენტთა რაოდენობის გადაჭარბება. ასევე, სტატუსს შეჩერებულ სტუდენტთა მთლიანი რაოდენობა თსუ-ში 7 000-ია, ხოლო ჩვენს ფაკულტეტზე კი 2 000 სტუდენტია.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ე. ხარაბაძე - ბატონო თემურ 10 სტუდენტით შემცირება ნამდვილად არ დაგვაზარალებს, მაგრამ არასასურველია, რომ დაფიქსირდა სტუდენტთა რაოდენობის კლება თუნდაც 10 სტუდენტით. რაც შეეხება, თქვენს მოსაზრებას არასწორად დაგეგმვასა და ადგილების დათვილის მეთოდიკის არასრულყოფილების შესახებ ეს ეხება მთლიანად უნივერსიტეტს, თუ მარტო ჩვენს ფაკულტეტს? რაც შეეხება ტურიზმს, ამ ნაწილში კითხვას არ ვსვავ.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - წელს არ ვიცი, მაგრამ გასული წლის ბიუჯეტში ტურიზმის პროგრამის თანხები ფაკულტეტის ბიუჯეტში შედიოდა და ეს კლება ნამდვილად დაგვაზარალებს. ამიტომ იქნებ მომდევნო სემესტრში, როდესაც მობილობა გამოცხადდება ადგილების გამოცხადების დროს იქნებ გაითვალისწინოთ, რომ ამით იქნებ მოხდეს დაბალანსება.

პროფ. ნ. თოდუა - 10 ადგილი ნამდვილად არ უნდა დაგვაკლდეს, რადგან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას ემსახურებიან უამრავი კთედრები, პროფესორ-მასწავლებლები და ამიტომ თუ კლებაა ისევ ტურიზმის უნდა მოაკლდეს ეს 10 ადგილიც, რადგან ისედაც გაუგებარია მაგ პროგრამის არსებობა.

პროფ. თ. შენგელია - თავის დროზე ტურიზმის პროგრამის ადგილები ბიზნესის ადმინისტრირებას მოაკლეს და გადაეცა ტურიზმის პროგრამას.

დეკანის მ.შ. თ. ბერიძე - ეს ციფრები შეთანხმებულია არამარტო რექტორთან, არამედ ყველა ფაკულტეტის დეკანებთან. ტურიზმს ისედაც ბევრი დააკლდა და კიდევ დაკლება მე მგონი არ იქნება სასურველი. შესაძლებელია ამ საკითხის დაყენება აკადემიურ საბჭოზე, ამიტომ დღეს პროექტი აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი.

პროფ. ე. ხარაბაძე - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ისედაც არ ფინანსედება, თავის თავს თვითონ აფინანსებს.

პროფ. ი. ანანიაშვილი - იქნებ კოეფიციენტებისთვისაც გადაგვეხედა, რომ მათემატიკის მისანიჭებელი ქულა კიდევ გაგვეზარდა.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - შარშან ჩავატარეთ კვლევა კოეფიციენტებთან დაკავშირებით და ამ კვლევის საფუძველზე იქნა შემუშავებული

მისანიჭებელი კოეფიციენტები და ეხლა კიდევ ამის ცვლილება მე მგონი აღარ იქნება სასურველი, რადგან არსებული ვარიანტით ჩვენს ფაკულტეტს პრობლემა არ ქონია და სასურველია დარჩეს ისევ ისე, როგორც შარშან.

სტუდენტი ს. ჩიტაძე - მათემატიკას იქნებ ცოტა მოვუმატოთ, რადგან უნარებს აქვს 6 კოეფიციენტი, ხოლო დანარჩენ საგნებს კი 2.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;

წინააღმდეგი – 1.

დაადგინეს: **1.** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2014-15 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტი და შესაბამისი ანკეტა-კითხვარის შემოთავაზებული ვარიანტი (იხილეთ დანართი);

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულის დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე